პიუხტიცას მონასტრის დებმა კვლავ მიმართეს ესტონეთის პარლამენტს ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 27.02.2025. 2025 წლის 16 თებერვალს პიუხტიცას მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენია ფილარეტამ (კალაჩევა) და მონასტრის დებმა ხელმეორედ **მიმართეს** ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტს ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს მონასტრის იურისდიქციის შეცვლას ან მის ლიკვიდაციას. წინა **მიმართვა** გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 11 თებერვალს. ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტისადმი ახალ მიმართვაში ნათქვამია:

„რიიგიკოგუს პატივცემულ თავმჯდომარეს ლაური ჰუსარს!

თქვენდამი მიმართვა გვაიძულა ჩვენი პიუხტიცას მიძინების დედათა მონასტრის ბედზე ღრმა შეშფოთებამ.

საუკუნეზე მეტი, უფრო ზუსტად 134 წლის წინ, იგი დაარსდა კურემიაში, წმინდა მთაზე და მას შემდეგ, რაც არ უნდა მძვინვარე ყოფილიყო მის ირგვლივ ქარიშხალი, როგორც არ უნდა შეეძრა მსოფლიო ომებსა და რევოლუციებს და როგორც არ უნდა შეცვლილიყო ხელისუფლება, მას ერთი დღითაც კი არ შეუწყვეტია ღმერთის სიყვარულით ბრწყინვა; და რაც არ უნდა სიბნელეს მოეცვა მსოფლიო, აქ ყოველთვის ანათებდა ადამიანისა და ყოვლადმოწყალე ღმერთის მიმართ სიყვარულის ნათელი. არც ერთი დღე არ შეწყვეტილა მონასტერში ლოცვა.

ახლა კი, მოულოდნელად, ისეთი რამ ხდება, რაც არ ჯდება ჩვენს ცნობიერებაში და მწვავე ტკივილს განაცდევინებს ჩვენს გულებს. ჩვენგან მოითხოვენ, რომ კონსტანტინოპოლის გულისთვის გავწყვიტოთ კანონიკური კავშირი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს არ არის მხოლოდ საეკლესიო კანონების დარღვევა; ეს იგივეა, რომ აიძულო ადამიანი, მიატოვოს საკუთარი დედა. მან გაზარდა იგი, ზრუნავდა მასზე მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში და ახლა – უარყოს მზრუნველი დედა? ასეთი ცოდვით დავიმძიმოთ ჩვენი სულები? რისთვის? ჩვენი სიმშვიდისა და კეთილდღეობისთვის?

გვსურს ვუპასუხოთ ქრისტეს სიტყვებით, რომელიც არ დაემორჩილა ცდუნებას: „უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე“ (მთ. 4:10). უკვე მერამდენედ ვიმეორებთ, რომ ყველაფერი, რასაც გვაბრალებენ, ეს არ არის ჩვენი სამონასტრო საქმე. ჩვენთვის, პიუხტიცას მონასტრის ბინადრებისთვის, ყოველთვის უცხო იყო პოლიტიკა და არასდროს მიგვიღია მონაწილეობა პოლიტიკურ თამაშებში.

ჩვენ მოვედით სენაკებში და დავტოვეთ სოფელი თავისი ვნებებით, ღვარძლით, დავებით და შეტაკებებით, რომლებითაც ის ცხოვრობს. ჩვენი სამონაზვნო ცხოვრების სივრცეში მხოლოდ უფალი არსებობს და ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ლოცვისა და შრომისგან შედგება.

ზედმეტია იმის თქმა, რომ წუთისოფლის ნებისმიერი შემოჭრა მონასტრულ, მონაზვნურ ცხოვრებაში ტკივილს გვაყენებს და გვაიძულებს მომავალს შიშით შევხედოთ.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთადერთი დედათა მონასტერი, რომელიც საბჭოთა ეპოქას გადაურჩა – ეს არის პიუხტიცას მონასტერი. ჩვენ არასოდეს დაგვვიწყებია ეს, და ჩვენს ყოველდღიურ მსახურებებზე ყოველთვის მადლიერებით ვლოცულობდით და ვაგრძელებთ ლოცვას ესტონეთის ქვეყნისთვის, ხელისუფლებისა და მისი კეთილშობილი ხალხისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლებაში მყოფნი ბოლოს და ბოლოს შეისმენენ ჩვენსას და ესტონეთის

რესპუბლიკა გაიგებს ჩვენს შეშფოთებას. არ არსებობს ისეთი კანონი, რომელმაც შეიძლება აიძულოს უდანაშაულო, კანონმორჩილი მონაზვნები უარი თქვან ქრისტეს აღთქმებზე პოლიტიკოსების წამიერი სურვილების სასარგებლოდ. ჩვენ, მონასტრის მკვიდრებს, ჩვენი თანხმობის გარეშე გვათავსებენ იმ სივრცეში, სადაც დასახლებულია უმეცრება და ახალი ღვთაებები, რომლებიც ამტკიცებენ ჭეშმარიტებას ქრისტეს გარეშე. ჩვენ, პიუხტიცელები, სულიერი სიხარულით ვიმეორებთ დიდი ქრისტიანის ჩუმ სიტყვებს: „მირჩევნია ქრისტესთან დავრჩე, ვიდრე ჭეშმარიტებასთან ქრისტეს გარეშე“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92921/